MES 1 21 0000043637

29/01/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 18.01.2021
სხდომის დაწყების დრო: 15:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:50 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული
საბჭოს მდივანი: ნიკა თიკანაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **თამარტუფინაშვილი** - შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - სხდომის მდივანი;
6. **გურანდა ჭელიძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი;
7. **პაატა ბრეკაშვილი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტის მიმართულებით;
8. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
9. **ზურაბ ორჯონიკიძე** - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი;
10. **ზურაბ გვიშიანი** - სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი მოვალეობის შემსრულებელი;
11. **რომეო გალდავა** - სსიპ- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
12. **ირმა წერეთელი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;
13. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ქრისტინე აბულაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
4	ქეთევან ინანაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	ნათია გოცაძე	შპს ,,მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი -ალტერბრიჯი“	რექტორი	I
2.	მარიამ დარბაიძე		ვიცე რექტორი აკადემიური განვითარების მიმართულებით	I
3.	მაკო ჯაოშვილი		ვიცე-რექტორი სტრატეგიული განვითარების მიმართულებით	I
4.	ნინია არჯევანიშვილი		იურიდიული სამსახურის უფროსი	I
5	მაკა ბერიძე	სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	რექტორი	II
6	ნინო მილაშვილი	სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	II
7	ზაირა ტყებუჩავა	სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმღვანელი	II
8	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III
9	ივანე ჯაგოდნიშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	III
10	ეკატერინე შაკიაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III
11	თემურ ჯაგოდნიშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ხელმძღვანელი	III
12	გიორგი სოსიაშვილი		რექტორი	IV

		სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი		
13	ლევან მიდოდაშვილი	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV
14	თეა ხორგუაშვილი	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	IV
15	ციური დურული	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	IV

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ნიკა გიგაური	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	გიორგი ჯაფოშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
3	ნანა წიკლაური	(ჩაერთო „ზუმით“)	II
4	ნინო დეკანოიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	ნინო პოპიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
6	მიხეილ გიორგაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
7	გოჩა თუთბერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. შპს ,,მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის -ალტერბრიჯი“ ,,საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (სააპელაციო საბჭოს მიერ უკან მობრუნებული);
2. სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,აგროტექნოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა;

4. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს ,,მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის -ალტერბრიჯი“ ,,საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (სააპელაციო საბჭოს მიერ უკან მობრუნებული);
2. სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,აგროტექნოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

პირველი საკითხი: შპს ,,მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის -ალტერბრიჯი“ ,,საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (სააპელაციო საბჭოს მიერ უკან მობრუნებული)

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საზოგადოებრივი ურთიერთობები და კომუნიკაციის ფსიქოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დასახელება	მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი
9	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
12	განხორციელების ადგილი	ბაგები, წყნეთის გზატკეცილი N67, თბილისი, 0162, საქართველო

13	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საკითხის განხილვას დაესწრო ექსპერტთა ჯგუფის მხოლოდ სტუდენტი წარმომადგენელი, რომელმაც აღნიშნა, რომ 2020 წლის 31 ივლისს, საბჭოს სხდომაზე საკითხის განხილვის შედეგად საბჭოს წევრები უკვე იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის შემდეგ კითხვების არსებობის შემთხვევაში კი აუცილებლად მოხდებოდა ექსპერტთა პოზიციის დაფიქსირება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორმა აღნიშნა, რომ ვინაიდან აღნიშნული აკრედიტაცია იყო დაწესებულების პირველი გამოცდილება, ერთ მხრივ პროცესი იყო საკმაოდ ახალი და უცხო, ხოლო მეორე მხრივ დაწესებულება არ იყო სათანადოდ მომზადებული იმისთვის, რომ ის რაც დაწესებულების წარმომადგენლებისთვის მკაფიო და ნათელია დეტალურად განხილულიყო საბჭოს სხდომაზე. აქედან გამომდინარე, დაწესებულების პოზიცია არ იყო გამყარებული შესაბამისი არგუმენტებითა და ფაქტებით. სწორედ აღნიშნული გარემოება წარმოადგენდა გადაწყვეტილების გასაჩივრების მიზანს. რექტორმა ასევე აღნიშნა რომ სამაგისტრო საფეხურზე, საბაკალავროსგან განსხვავებით სწავლის პროცესი მიმდინარეოებს. მისი თქმით, ასევე მნიშვნელოვანია, რომ ექსპერტთა მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები ძირითადად რჩევითი ხასიათისაა, რამდენადაც სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს და რეკომენდაციების დიდი ნაწილი უკვე გაწერილი და გათვალისწინებულია დაწესებულების ერთწლიან და სამწლიან განვითარების გეგმაში.
დაწესებულების რექტორმა დეტალურად განიხილა ექსპერტთა და საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ იგი არის საკმაოდ ზოგადი, რადგან ციფრული ტექნოლოგიები დღეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი და რა თქმა უნდა აღნიშნულის სწავლება უნდა მოხდეს დიდი დოზით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საკითხი ეხება მასობრივ კომუნიკაციებს.

თეორიული მასალა პროგრამაში საკმაოდ მკაფიოდ აღწერს ციფრული ტექნოლოგიების შინაარსსა და მნიშვნელობას, თუმცა თავისი სტრუქტურით სილაბუსი არის მეტად პრაქტიკული ხასიათის და ორიენტირებულია უნარებზე. შესაბამისად, ციფრული ტექნოლოგიების განვითარება მოცემულია სასწავლო პრაქტიკის კომპონენტში. დაწესებულებას ჰყავს საკმაოდ ძლიერი პარტნიორები აღნიშნული მიმართულებით, რომლებიც ონლაინ კომუნიკაციის ბაზარზე წამყვანი სპეციალისტები არიან.

მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ 240 კრედიტიდან, 150 არის სავალდებულო, დანარჩენი, 35 არის თავისუფალი არჩევითი, ხოლო 55 თავისუფალი კომპონენტი. დაწესებულება აქტიურად გეგმავს ახალი თავისუფალი კურსების დამატებას, რაც მუდმივ პროცესს წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია ასევე დაწესებულების პოზიცია მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ, ,,მედიამონიტორინგის“ სასწავლო კურსის მე-12- მე-15 სასწავლო კვირებში დეტალურად არის მოცემული მედია მონიტორინგის საკითხები ციფრულ მედიაში ტელევიზიებში, რადიოსა და პრესაში. დაწესებულებას უკვე გადაწყვეტილი აქვს თუ როგორ მოხდება პრაქტიკული სწავლების განხორციელება მოცემულ სასწავლო კურსში.

რაც შეეხება ,,მედიადაგეგმარების“ სასწავლო კურსს, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სასწავლო კურსში ,,პიარის პრაქტიკა და სტრატეგია“, დეტალურად არის განხილული მედია სტრატეგია და მედია დაგეგმარება, თუმცა, აუცილებლად მოხდება ამ კუთხით სტუდენტების პრაქტიკულ სწავლებაში ჩართვა. მედია გეგმა არის საკომუნიკაციო სტრატეგიის ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილი, რომელსაც სჭირდება თავისი სპეციფიური ცოდნა.

მნიშვნელოვანია ასევე მე-5 რეკომენდაცია, რომელსაც დაწესებულება სრულიად ეთანხმება და აღნიშნული უკვე გათვალისიწნებულია სამაგისტრო პროგრამით, თუმცა ხარვეზის გამო არ მოხდა მისი საბჭოს სხდომაზე განხილვა. თუმცა მოცემული ხარვეზი ექსპერტთა ვიზიტის დროს იქნა გასწორებული. მან აღნიშნა რომ დაწესებულება ორიენტირებულია სტუდენტის აკადემიურ თავისუფლებაზე და ზოგადად სტუდენტზე, შესაბამისად მუდმივად მზადაა მოერგოს სტუდენტების მოთხოვნებს და შეუსაბამოს სწავლების პროცესი თანამედროვე გამოწვევებს, რაც ასევე დეტალურად არის გაწერილი დაწესებულების სამოქმედო გეგმაში.

რაც შეეხება მე-6 რეკომენდაციას, პროგრამაში გათვალისწინებული იყო 5 სასწავლო კურსი ფსიქოლოგიის მიმართულებით. აღნიშნული წარმოაჩენს პროგრამის უნიკალურობას, რადგან საზოგადოებასთან ურთიერთობა არის დარგი, რომელიც ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის და სხვა პრაქტიკული მეცნიერებების დისციპლინებს იყენებს. დაწესებულებას ფსიქოლოგიური კომუნიკაცია უპირატესად აქვს წამოწეული პროგრამაში. სასწავლო კურსი ,,სოციალური მეცნიერებები“, პროგრამაში გათვალისწინებულია, თუმცა მიუხედავად ამისა, მოხდა ახალი სასწავლო კურსის ,,პრაქტიკული საფუძვლები ფსიქოლოგიაში“ შედგენა, რომელიც ასევე დამატებულია სასწავლო პროგრამაში.

საყურადღებოა ასევე მე-7 რეკომენდაცია, კერძოდ, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაცია არის საკმაოდ ზოგადი და ასევე მნიშვნელოვანი პროგრამის განვითარებისა და ჩამოყალიბებისათვის, განსაკუთრებით დღეს, როდესაც ყველაზე აქტუალურია ონლაინ პლადფორმების გამოყენება.

მე-8 რეკომენდაციის შესაბამისად, დაწესებულებამ მოახდინა პროგრამაში არსებული ხარვეზების შესწორება. პროგრამაში მოცემული იყო 9 სილაბუსი, რომლებშიც იკვეთებოდა ტექნიკური ხარვეზი დაჯამების კუთხით.

მე-9 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების რექტორმა განმარტა, რომ რეკომენდაციებში მოცემულ საგნებში ქართულენოვანი ლიტერატურა საკმაოდ მწირია. სილაბუსებში გათვალისწინებულია ორი სახელმძღვანელო დენის ვილკოკქის და ბელჩის, რომლებშიც თემატიკის მიხედვით არის ჩაშლილი ყველა მიმართულება. სილაბუსებში ასევე მოცემულია დამატებითი სახელმძღვანელოები და ლექტორების „რიდერები“. შემოწმების შედეგად დადგინდა რომ არც ერთი წიგნის და თემა ერთმანეთს არ ფარავს, შესაბამისად, სილაბუსები საკმაოდ საინტერესო და აქტუალურია. აღსანიშნავია, რომ დაწესებულება

აქტიურად მუშაობს სახელმძღვანელოებზე. სწავლების პროცესში აქტიურად გამოიყენება ღონისძიების დაგეგმვის სახელმძღვანელო დაწესებულების ვიცე-რექტორის ავტორობით. სამომავლოდ ასევე იგეგმება წიგნების თარგმნა, რაც გამომდინარეობს ქართულენოვანი ლიტერატურის სიმწირისაგან.

რაც შეეხება მე-10 რეკომენდაციას, დაწესებულებამ რეკომენდაციის შესაბამისად მოახდინა სასწავლო კურსის, ,,შესავალი მათემატიკურ აზროვნებაში" მოდიფიკაცია და შინაარსის დახვეწა, სადაც აქცენტი უმეტესად გაკეთდა თეორიულ ნაწილზე, კრიტიკულ და ლოგიკურ აზროვნებაზე.

მე-12 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს უნივერსიტეტს არ ჰყავდა სტუდენტები და საბაკალავრო საფეხურზე არც ამჟამად ჰყავს. სტუდენტების ჩართულობის მექანიზმები, როგორც დოკუმენტი, დაწესებულების მიერ გაწერილია, შესაბამისად, დაწესებულება იმყოფება იმ სტადიაზე, როდესაც უნდა მოხდეს ამ მექანიზმების სისრულეში მოყვანა და პრაქტიკაში გამოყენება, თუმცა, აღნიშნული, სტუდენტების გარეშე წარმოუდგენელია. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტს აქვს სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, რომელმაც 2020 წელს გამოუშვა ორი სამეცნიერო ჟურნალი, რომელსაც მინიჭებული აქვს ციტირების ინდექსი. დაწესებულება ასევე აქტიურად ემზადება სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებით კონფერენციისთვის, რომელშიც მაგისტრანტი სტუდენტები სრულად არიან ჩართულნი.

რაც შეეხება მე-13 რეკომენდაციას, მნიშვნელოვანია, რომ ყველა ის მეთოდი, რომელიც გამოყენებულია დაწესებულების მიერ, არ წარმოადგენს სიახლეს, მისი გამოყენება ხდება 8 წლის განმავლობაში. აღნიშნული მოიცავს, როლურ თამაშებსა და პრეზენტაციებს. მოცემული მეთოდები სრულიად შეესაბამება სწავლის შედეგებს. მნიშვნელოვანია ასევე, რომ დაწესებულება სრულად უზრუნველყოფს აკადემიურ თავისუფლებას. ლექტორები და პროფესორები თავად საზღვრავენ თავიანთი ლექციების ფარგლებში რა ტიპის სწავლა-სწავლების მეთოდები უნდა იქნეს გამოყენებული სასწავლო კურსის შედეგებზე გასასვლელად.

მნიშვნელოვანია ასევე მე-14 რეკომენდაცია, კერძოდ, როდესაც აღნიშნული პროგრამა მუშავდებოდა, არ იდგა დამატებითი რესურსის არსებობის აუცილებლობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა დაწესებულებას ამ ეტაპზე მხოლოდ ორი პროგრამა აქვს, თუმცა აღსანიშნავია, რომ თუკი რესურსის საჭიროება დადგება პროგრამის განხორციელებაში ჩართული ლექტორები უხელმძღვანელებენ პროგრამებს.

მე-15 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტის მომენტისთვის აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა სრულად აკმაყოფლებდა იმ ნიშნულს, რომელიც უნივერსიტეტს პროგრამის ფარგლებში აქვს დასახული. მისი თქმით, დაწესებულებას ცოტა ხნის წინ შეუერთდა მარიამ დარბაიძე, ვიცე-რექტორი, რომელმაც პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის განვითარების კუთხითაც გარკვეული ცვლილებები შეიტანა. ამჟამად პროგრამა სრულიად აკმაყოფილებს მოთხოვნებს აფილირებული პროფესორების რაოდენობისა და კვალიფიკაციის კუთხით. კონკრეტულად ამ პროგრამის ფარგლებში აფელირებული პერსონალის თანაფარდობა არის 1/6. დაწესებულებას მიმდინარე პერიოდშიც გამოცხადებული აქვს კონკურსი და გეგმავს გამოცდილი პროფესიონალების აკადემიურ შტატში აყვანას.

რაც შეეხება მე-16 რეკომენდაციას, ინტენაციონალიზაციასთან დაკავშირებით, აღნიშნული წარმოადგენს დაწესებულების განვითარებისთვის ერთ-ერთ მთავარ მიზანსა და ამოცანას. მოცემული საკითხი დეტალურად არის აღწერილია სამწლიან და შვიდწლიან გეგმებში. უნივერსიტეტს ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯები აქვს გადადგმული, კერძოდ გაფორმებულია საკმაოდ ბევრი მემორანდუმი ახალ, საერთაშორისო უნივერსიტეტებთან. დაწყებულია მუშაობა გაცვლით პროგრამებზე. მაგისტრატებისთვის შეთავაზებულია უცხო ენოვანი ვებინარები. დაწესებულება აქტიურად აწარმოებს მოლაპარაკებას როტერდამის უნივერსიტეტთან, შესაბამისად, აქტიურად ხდება

მათთან გაცვლით პროგრამებზე მოლაპარაკება. ვენის ეგზისტენციური სკოლაც ასევე თანამშრომლობს ალტერბრიჯთან, რაც მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს პრაქტიკული კუთხით განვითარებისთვის. თავად ალფრიდ ლენგრე იყო ჩართული აღნიშულ პროცესში, რომელმაც სრულიად უსასყიდლოდ განახორციელა ვებინარები ალტერბრიჯთან თანამშრომლობით.
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორმა ასევე ისაუბრა მე-17 რეკომენდაციასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ პროგრამის სახელწოდება არის ,,საზოგადოებრივი ურთიერთობისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, ხოლო მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი. რაც შეეხება პროგრამის სტრუქტურას, პროგრამა შედგება 240 კრედიტისგან, აქედან 150 არის ძირითადი სავალდებულო საგნები, ხოლო ძირითად სავალდებულო საგნებში 132 კრედიტით განსაზღვრული სრული 22 საგანი პირდაპირ შინაარსობრივად გადის მოცემულ კვალიფიკაციაზე. აღნიშნულ საგნებში დეტალურად არის განხილული თუ როგორ უნდა შეიქმნას ტექსტი, რა ფსიქოლოგიურ ფაქტორებს გადის ზოგადად ადამიანი ინფორმაციის მიღების პროცესში. სწავლის სფეროების კლასიფიკატორში ოთხნიშა (დეტალური) კოდის ქვეშ მოცემულია ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა, თუმცა, აღმწერში მოცემულია, რომ შეისწავლის ჟურნალისტიკის და რეპორტოპრობის პრაქტიკას, როგორც კომუნიკაციის სფეროს ნაწილს. ჟურნალისტიკასა და რეპორტიორობას მნიშვნელოვანი კავშირი აქვს ტექსტის ფორმულირებასთან და ინფორმაციის შინაარსთან. დეტალურ სფეროში, მოცემულია ორი მიმართულება, ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია. დეტალური სფეროს სახით არსებობს მასობრივი კომუნიკაცია, რომელიც პირდაპირ გულისხმობს ინფორმაციის შინაარსზე მუშაობას. მასობრივი კომუნიკაციის ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ ნაწილს კი წარმოადგენს საზოგადოებრივი ურთიერთობები. მასობრივი კომუნიკაცია ეს არის ინფორმაციის მიმოცვლა მასებს შორის. საზოგადოებასთან ურთიერთობა ეს არის პროცესი, რომელიც გულისხმობს, ინფორმაციის შექმნას და მის დაკავშირებას კომუნიკაციით დაინტერესებულ პირებს შორის. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, საზოგადოებრივი ურთიერთობა არის მიმართულება, რომელიც იყენებს ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის დისციპლინებს, იმისათვის, რომ შეძლოს ინფორმაციის მართვა იმგვარად, რომ მოახდინოს გავლენა საზოგადოებრივ აზრზე. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია, რომელიც გულისხმობდა მე-5 მუხლთან შესაბამისობას. მნიშვნელოვანია, რომ მე-5 მუხლის თანახმად აუცილებელია რომ ხვედრითი წილის იყოს 50%, ამ მოცემულობით პროგრამაში ხვედრითი წილია არის 62,5%, 120 კრედიტის ნაცვლად გათვალისწინებულია 132 კრედიტი, აქედან გამომდინარე, აღნიშნული სრულიად შეესაბამება კლასიფიკატორის მოთხოვნებს.

16:05 საბჭოს სხდომას შეუერთდა ეკა ეკალაძე

დაწესებულების რექტორმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამა, შექმნილია საკმაოდ დიდი გამოცდილების შედეგად. პროგრამის შემუშავებაში ჩართულნი იყვნენ როგორც აკადემიური პერსონალი, ასევე დამსაქმებლები და საერთაშორისო ექსპერტები.

16:07 საბჭოს სხდომას შეუერთდა ირმა წერეთელი

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, ნიკა თიკანაშვილი დაინტერესდა, ამავე სახელწოდების სამაგისტრო პროგრამაზე განხორციელდა თუ არა სტუდენტების მიღება.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სექტემბერს გამოცხადდა მაგისტრთა მიღება, რის შედეგადაც შედგა მცირე ჯგუფი. ამჟამად სამაგისტრო საფეხურზე წარმატებით

მიმდინარეობს სწავლების პროცესი, რომელშიც ჩართულია როგორც აკადემიური, ასევე საერთაშორისო პერსონალი. ალტერბრიჯის მთავარი მიზანია მოახდინოს კომუნიკაციის სფეროს დანერგვა და განვითარება, რაც თავდაპირველად პიარ აკადემიის სახით დაიწყო, ხოლო დღეს უკვე დამოუკიდებელ უნივერსიტეტად გარდაიქმნა.
საბჭოს წევრმა ნიკა თიკინაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამის კვალიფიკაციის ფორმულირება იყო საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრი, შესაბამისად, დაინტერესდა თუ როგორ მოახერხებს საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული თავისი კვალიფიკაციით სამაგისტრო საფეხურზე კვალიფიკაციის ამაღლებასა და შემდგომ რეალიზებას.
დაწესებულების რექტორმა განმარტა, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობა არის სფერო, რომელიც მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, თუმცა მიუხედავად ამისა, სწავლის სფეროების კლასიფიკატორში სამაგისტრო დონეზე არის 0414 დეტალური სფეროს მიმართულებით. სტრატეგიული კომუნიკაცია, ფაქტობრივად არის სტრატეგია და შესაბამისად, შესაძლებელია უფრო მეტად იყოს ორიენტირებული სტრატეგიულ აზროვნებასა და დაგეგმვაზე. საბაკალავრო დონეზე ძირითადი ნაწილი ეთმობა ინფორმაციის სწორად მიწოდებასა და გავრცელებას, ტექსტზე მუშაობას და მის ჩამოყალიბებას და არა სტრატეგიულ კომუნიკაციას. აღნიშნული საფუძველს უდებს იმას, რომ კურსდამთავრებული, რომელმაც იცის ინფორმაციის სწორი მიწოდება და ტექსტზე მუშაობა მომავალში გახდეს სტრატეგი, რომელიც გეგმავს კომუნიკაციის პოლიტიკას.
საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა მოუწოდა ექსპერტს განემარტა, თუ რამ გამოიწვია მე-17 რეკომენდაციის განსაზღვრა.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა ექპერტთა მიერ რეკომენდაცია მეტად მკაფიოდ განსაზღვრულიყო და განმარტა, რომ რეკომენდაციის ძირითად მიზეზს წარმოადგენდა ის, რომ დადგენილიყო რამდენად აგროვებდა პროგრამა მასობრივი კომუნიკაციების კუთხით 120 კრედიტს, რადგან პროგრამის დიდი ნაწილი მოიცავს საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროს. იმის მიუხედავად, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა 132 კრედიტი, ექსპერტების მხრიდინ მაინც არსებობდა კითხვები თუ რამდენად განეკუთვნებოდა აღნიშნული 22 საგანი მასობრივი კომუნიკაციების სფეროს.
ექსპერტმა ასევე გამოეხმაურა ინტენაციონალიზაციის საკითხი და განმარტა, რომ ვიზიტი განხორციელდა ივნისში, ხოლო იმ დროისთვის დაწესებულებას არ ჰქონდა გაფორმებული არც ერთი თანამშრომლობის მემორანდუმი, მხოლოდ თანამშრომლობის პროცესები იყო დაწყებული, ხოლო რაც შეეხება მე-17 რეკომენდაციას, აღნიშნულის მიზანს წარმოადგენდა საზოგადოებრივი ურთიერთობისა და მასობრივი კომუნიკაციების ერთმანეთში აღრევის პრევენცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მე-17 რეკომენდაცია წარმოადგენდა ტექნიკურ შეფასებას, რადგან თვითშეფასების ანგარიშში ,,მასობრივი კომუნიკაციები“ შეიცვალა ,,მასობრივი კომუნიკაციით“. მასობრივი კომუნიკაცია და საზოგადოებრივი ურთიერთობები არ არის ორი სხვადსხვა სფერო, აღნიშნული წარმოადგენს ერთი სფეროს შემადგენელ ნაწილს. საბჭოს სხდომაზე, ექსპერტმაც დაადასტურა, რომ პროგრამა შესაბამისობაშია კვალიფიკაციის მოთხოვნებთან და გადის 120 კრედიტზე. პროგრამის გადახედვის შედეგად დადგინდა, რომ იგი შედეგზე გადის 132 კრედიტით. კლასიფიკატორით ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა ჩაშლილია ჟურნალისტიკად და მასობრივ კომუნიკაციად, საზოგადოებასთან ურთიერობა არ არის ჟურნალისტიკა.
საბჭოს წევრმა, დიმიტრი გეგენავა აღნიშნა, რომ ჟურნალისტიკისა და რეპორტიორობის სფეროში საბაკალავრო საფეხურზე შედის სხვა სახის მასობრივი კომუნიკაცია, ხოლო საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში წარმოადგენს განსხვავებულ სპეციალობას, კოდს. საზოგადოებასთან ურთიერთობა, როგორც კვალიფიკაცია, საბაკალავრო დონეზე, კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს მიხედვით ვერც ერთ სფეროში ვერ იქნება გათვალისწინებული, რადგან აღნიშნული საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის

შესაბამისად, განკუთვნილია სამაგისტრო საფეხურისთვის. პროგრამის სათაურში გვხვდება როგორც მასობრივი კომუნიკაცია, ასევე ფსიქოლოგია, შინაარსი გადის საზოგადოებასთან ურთიერთობაზე, ხოლო კვალიფიკაცია ენიჭება განსხვავებულ სფეროში. შესაბამისად, სათაური, კვალიფიკაცია და მომწესრიგებელ ნორმათა სისტემა, არის აბსოლუტურად სხვადასხვა და არ მოდის ერთმანეთთან შესაბამისობაში. სასწავლო კურსების ნაწილი გადის საზოგადოებასთან ურთიერთობაზე, ნაწილი კი მასობრივ კომუნიკაციებზე, თუმცა როდესაც კონკრეტული კვალიფიკაცია არის მისანიჭებელი, და არა საზოგადოებასთან ურთიერთობა, აღნიშნული შემთხვევაში იქმნება პრობლემა, რადგან ის რაც საზოგადოებრივი ურთიერთობებისთვის იქნებოდა დარგობრივი, უკვე ხარვეზს წარმოშობს მასობრივი კომუნიკაციისთვის და პირიქით.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ 0414 მიმართულებას, ერთადერთი დეტალური სფერო აქვს მარკეტინგი. საზოგადოებასთან ურთიერთობა კი არ არის მარკეტინგი. საზოგადოებასთან ურთიერთობა წარმოადგენს სოციალური მეცნიერებების მიმართულებას. სწავლის სფეროების კლასიფიკატორში პირდაპირ არის მოცემული, რომ ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა შეისწავლის ჟურნალისტიკისა და რეპორტიორების თეორიასა და პრაქტიკას, როგორც მასობრივი კომუნიკაციის სფეროს ნაწილს. ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა ეხება ტექსტის ფორმულირებასა და ინფორმაციის/ამბის შინაარსს. ვიწრო დარგობრივი მიმართულება კი არის ორი, ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია, რომელიც პირდაპირ გულისხმობს ინფორმაციის შინაარსზე მუშაობას. მასობრივი კომუნიკაციის ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ ნაწილს კი წარმოადგენს საზოგადოებრივი ურთიერთობები. საერთაშორისო და ადგილობრივ ექსპერტებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამა და მისის კვალიფიკაცია სრულიად შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს. მნიშვნელოვანია, რომ მე-5 მუხლის თანახმად აუცილებელია რომ ხვედრითი წილის იყოს 50%, ამ მოცემულობით პროგრამაში ხვედრითი წილია არის 62,5%, 120 კრედიტის ნაცვლად გათვალისწინებულია 132 კრედიტი.
საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა აღნიშნა, რომ განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია „ისკედ 2013“ (ISCED-F 2013) გამორიცხავს მასობრივი კომუნიკაციისთვის საჭირო მეთოდების შესწავლას, რაც გაერთიანებულია აუდიო-ვიზუალის მეთოდებსა და მედია პროდუქციის წარმოებაში, გამორიცხავს საგამომცემლო დიზაინსა და გამოცემის გეგმის შესწავლას. ასევე მთლიანად გამორიცხვას საზოგადობასთან ურთიერთობის შესწავლას ამ დეტალური სფეროდან და შესაბამისად, მოთავსებულია მარკეტინგი და რეკლამირება. პრობლემას წარმოადგენს ის თუ რამდენად არის კავშირი პროგრამის სახელწოდებას, შინაარსსა და კვალიფიკაციას შორის.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ნებისმიერი მიმართულებით, მასობრივი კომუნიკაციის ნაწილს წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობა. მასობრივი კომუნიკაცია მოიცავს ტექსტის ფორმულირებასა და შინაარსს. მოცემული სასწავლო კურსები სწორედ აღნიშნულ საკითხებს მოიცავენ, რაც ასევე გათვალისწინებულია კლასიფიკატორით. პროგრამის შედგენაში ჩართული იყო უამრავი დარგის სპეციალისტი, მათ შორის საერთაშორისო ასოციაციები. მასობრივი კომუნიკაცია მოცემული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით, საბაკლაავრო დონეზე არის ერთადერთი მიმართულება, რომელიც მიესადეგება პროგრამის შინაარსსა და მიზანს. პროგრამა კი სრულიად აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და კლასიფიკატორის მოთხოვნებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:45
დასრულების დრო: 17: 55

დაწესებულების პოზიციის მოსმენის შემდგომ, საკითხის სრულყოფილად განხილვის მიზნით,

საბჭომ ცენტრს მიმართა შუამდგომლობით უზრუნველეყო საკითხის შესწავლაში დამოუკიდებელი ექსპერტის, მასობრივი კომუნიკაციის სპეციალისტის ჩართულობა, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარვე, საბჭოს გადაწყვეტილებით, საკითხი განსახილველად გადაიდო აკრედიტაციის საბჭოს მომდევნო სხდომაზე.

18:04 საბჭოს სხდომა დატოვა თამარ ტუფინაშვილმა
18:06 საბჭოს სხდომა დატოვა ზურაბ ორჯონიკიძემ

მეორე საკითხი: სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,აგროტექნოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	აგროტექნოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	02. 05. 2019 წ. N110
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	აგროტექნოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დასახელება	აგროტექნოლოგიის მაგიტრი
9	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
12	განხორციელების ადგილი	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ.122 უნივერსიტეტის II კორპუსი, საქართველო 0800
13	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს წარმოედგინა პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 6 ნოემბერის (ცენტრის დირექტორის 2020 წლის 07 აგვისტოს ბრძანება, № 673591). ,,აგროტექნოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ვიზიტი წარიმართა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგით და მოხდა შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა ადმინისტრაციის, განმახორციელებელი პერსონალის, სტუდენტებისა, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერებული იქნა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა და ვიზიტის ბოლოს ადმინისტრაციის მიმართ გამოთქმული იქნა ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიგნებები. 2019 წლის ვიზიტისას ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციის უმეტესობა შესრულებულია. ვიზიტის ბოლოს, სააკრედიტაციო ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო ძირითადი მიგნებები და გაუზიარა რჩევები.
სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,აგროტექნოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ამგვარად გამოიყურება:

პირველის ტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. წინაპირობებში აუცილებელია განმარტებული იყოს, როგორ მოხდება საქართველოს არაქართულენოვანი მოქალაქის მიღება.
2. უნდა იყოს ასევე მითითებული რომელ უცხო ენის გამოცდაზეა საუბარი. მიეთითოს, რომელი უცხო ენა ბარდება მაგისტრატურის მისაღებ გამოცდაზე.
3. უნდა გასწორდეს პროგრამის სტრუქტურის და კრედიტების საათების განაწილების ცხრილში საათების განაწილების დაჯამება.

4. საჭიროა სილაბუსებში თემატიკა შესაბამისობაში იყოს საგნის სახელწოდებასთან. მაგ. „ტყის მავნებელ დაავადებების მონიტორინგი და ბიომრავალფეროვნების დაცვა“-ს უნდა დაემატოს ბიომრვალაფეროვნების შესახებ შესაბამისი ლექცია ან ლექციები. ასევე, „მრავალწლიანი კულტურების აგროტექნოლოგია“-ში, უფრო დეტალურად უნდა იყოს საუბარი მრავალწლოვან კულტურებზე, განსაკუთრებით, რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით და ასევე, ამ მიმართულებით ქვეყანაში მიმდინარე ტენდენციებზე.
5. სასურველია, საგანს „სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია და გარემოს დაცვა“ შეეცვალოს არჩევითი სასწავლო კურსის სტატუსი, რადგან პირდაპირ ასახავს საკაცობრიო პრობლემებს გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების თვალსაზრისით.
6. პროგრამის სტრუქტურაში სამეცნიერო კვლევითი მუშაობის მეთოდიკის სემესტრი უნდა გასწორდეს და ნაცვლად 7-ისა დაიწეროს 1.
7. ლაბორატორიისათვის საჭიროა მინიმუმ 1 სტერეო მიკროსკოპის ქონა.
8. საჭიროა, წარმოდგენილი იყოს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი, რათა უფრო თვალსაჩინო გახდეს რა დანახარჯებია და როგორაა იგი შესაბამისობაში პროგრამასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს კონსტრუქციული ვიზიტისა და საინტერესო მიგნებებისთვის და ისაუბრა მეოთხე სტნადარტთან მიმართებით, რომელიც ექსპერტთა მიერ შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტებთან. მან აღნიშნა, რომ დღესდღეობით, აგროტექნოლოგიის მიმართულებით დაწესებულებას გააჩნია სტანდარტის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მისი თქმით, ბოლო წლებში დაახლოებით 100 000 ლარის დაიხარჯა ლაბორატორიების აღჭურვის მიზნით. ახალი ბიუჯეტი მაქსიმალურად არის მიმართული იმისკენ, რომ ამ მიმართულებით დაწესებულებამ განაგრძოს განვითარება.
რაც შეეხება პირველ რეკომენდაციას, აღსანიშნავია, რომ არაქართველი სტუდენტები ბუნებრივია, რომ ქართულად აბარებენ სამაგისტრო გამოცდებს და სწორედ ეს წარმოადგენს მიღების წინაპირობას. რაც შეეხება უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, ამ შემთხვევაში მათთან გასაუბრება ქართულ ენაზე ტარდება.
დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებს და აღნიშნა, რომ მათი უმეტესობა არის ტექნიკური ხასიათის და დაწესებულება აუცილებლად გაითვალისწინებს და გამოასწორებს მომავალში.
პროგრამის ხელმძღვანელმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ პროგრამაზე სწავლების ენა არის ქართული, შესაბამისად, საქართველოს არაქართულენოვანი მოქალაქის მიღების წინაპირობას წარმოადგენს ქართული ენის B2 დონეზე ცოდნა, რაც საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ მიიღწევა. არაქართულენოვანი სტუდენტები კი უნივერსიტეტში გადიან ქართულ ენაში მოსამზადებელ კურსებს.
რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, აღსანიშნავია, რომ გამოცდაზე სტუდენტები აბარებენ ინგლისურ ან გერმანულს ენაში B2 დონეზე შედგენილ ტესტს, რათა დადგინდეს უცხო ენის ცოდნის დონე ან ასევე შესაძლებელია სტუდენტმა წარმოადგინოს უცხო ენის დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი. ტესტების ნიმუშები წინასწარ თავსდება დაწესებულების ვებ-გვერდზე.
რაც შეეხება მე-3 რეკომენდაცის, მისი განმარტებით, აღნიშნული წარმოადგენდა ტექნიკურ შეცდომას, რომელიც უკვე გასწორდა და შესაბამისად მოხდა დაჯამება.
მნიშვნელოვანია ასევე მე-4 რეკომენდაცია, კერძოდ, სილაბუსში მოხდა ბიომრავალფეროვნების საკითხების დამატება და განხილვა. რაც შეეხება მრავალწლიან კულტურებს, ასევე მოხდა შესაბამისი საკითხების დამატება.

რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, სასწავლო კურსი „სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია და გარემოს დაცვა“ პროგრამაში წარმოდგენილია სავალდებულო საგნის სახით, შესაბამისად, ექსპერტთა რეკომენდაცია გამომდინარეობს ტექნიკური ხარვეზიდან, რადგან სილაბუსში სავალდებულოს ნაცვლად მითითებული იყო არჩევითი სასწავლო კურსი. დაწესებულების მხრიდან განხორციელდა აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა.
პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ მე-6 რეკომენდაციის შესაბამისად დადგენილი ხარვეზებიც აღმოიფხვრა.
პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა მე-7 რეკომენდაციასთან დაკავშირებთ და განმარტა, რომ სტერეო-მიკროსკოპის შეძენა 2021 წლის ბიუჯეტით არის გათვალისწინებული. ამჟამად დაწესებულებას ლაბორატორიაში აქვს 4 მიკროსკოპი თავისი ფოტო გადაღებით. მემორანდუმის საფუძველზე, დაწესებულებას ასევე შეუძლია მიმართოს სხვადასხვა ლაბორატორიებს ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით. აღსანიშნავია ასევე, რომ უნივერსიტეტმა შეიძინა აგრონომიის ლაბორატორია, სადაც თავისუფლად არის შესაძლებელი კვლევების ჩატარება.
რაც შეეხება მე-8 რეკომენდაციას, დაწესებულებამ საბჭოს წარუდგინა ბიუჯეტის ხარჯვითი წილი, კერძოდ, აღნიშნული შეადგენს აკადემიური და მოწეული პერსონალის შემოსული თანხის 60%-ს. პროგრამის მდგრადობისა და განვითარებისათვის გათვალისწინებულია 10-%, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისთვის 10-%, ხოლო ადმინისტრაციის ხარჯებისთვის 20%, საიდანაც საჭიროების შემთხვევაში მოხდება კვლევების, წამახალისებელი ღონისძიებებისა და ნაშრომების გამოქვეყნების დაფინანსება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მანანა კველიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამაში მოცემულია სასწავლო კურსი, ,,აგრონომიის საფუძვლები“, რომელიც ასევე ისწავლება საბაკალავრო პროგრამის ფარგლებშიც, შესაბამისად სამაგისტრო საფეხურზე მისი სწავლება საჭირო აღარ არის. გარდა ამისა, პროგრამაში მოცემულია ,,კვლევის მეთოდები 1“ და ,,კვლევის მეთოდები 2“, სადაც ძირითადი აქცენტი გაკეთებულია მემცენარეობაზე, თუმცა არ არის მოცემული ნიადაგმცოდნეობა, რაც აუცილებელია აგროტექნოლოგისთვის. აღნიშნული ასევე გაუმარტივებს სტუდენტს კვლევის განხორციელების პროცესს.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პროგრამით გათვალისწინებულია არა ,,აგრონომიის საფუვლები“, არამედ ,,აგრონომიის ინტეგრირებული კურსი“. რაც შეეხება ნიადაგმცოდნეობას, აუცილებლად მოხდება აღნიშნულის გათვალისწინება და დამატება სასწავლო კურსში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:23
დასრულების დრო: 18:26

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, დამატებით განსაზღვრა ერთი რეკომენდაცია, საბოლოოდ კი დაწესებულებისათვის გაცემული რეკომენდაციები შემდეგნაირად გამოიყურება:

1. წინაპირობებში აუცილებელია განმარტებული იყოს, როგორ მოხდება საქართველოს არაქართულენოვანი მოქალაქის მიღება.
2. უნდა იყოს ასევე მითითებული რომელ უცხო ენის გამოცდაზეა საუბარი. მიეთითოს, რომელი უცხო ენა ბარდება მაგისტრატურის მისაღებ გამოცდაზე.

3. უნდა გასწორდეს პროგრამის სტრუქტურის და კრედიტების საათების განაწილების ცხრილში საათების განაწილების დაჯამება.
4. საჭიროა სილაბუსებში თემატიკა შესაბამისობაში იყოს საგნის სახელწოდებასთან. მაგ. „ტყის მავნებელ დაავადებების მონიტორინგი და ბიომრავალფეროვნების დაცვა“-ს უნდა დაემატოს ბიომრვალაფეროვნების შესახებ შესაბამისი ლექცია ან ლექციები. ასევე, „მრავალწლიანი კულტურების აგროტექნოლოგია“-ში, უფრო დეტალურად უნდა იყოს საუბარი მრავალწლოვან კულტურებზე, განსაკუთრებით, რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით და ასევე, ამ მიმართულებით ქვეყანაში მიმდინარე ტენდენციებზე.
5. სასურველია, საგანს „სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია და გარემოს დაცვა“ შეეცვალოს არჩევითი სასწავლო კურსის სტატუსი, რადგან პირდაპირ ასახავს საკაცობრიო პრობლემებს გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების თვალსაზრისით.
6. პროგრამის სტრუქტურაში სამეცნიერო კვლევითი მუშაობის მეთოდიკის სემესტრი უნდა გასწორდეს და ნაცვლად 7-ისა დაიწეროს 1.
7. ლაბორატორიისათვის საჭიროა მინიმუმ 1 სტერეო მიკროსკოპის ქონა.
8. საჭიროა, წარმოდგენილი იყოს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი, რათა უფრო თვალსაჩინო გახდეს რა დანახარჯებია და როგორაა იგი შესაბამისობაში პროგრამასთან.
9. კვლევის მეთოდების სასწავლო კურსს დაემატოს ნიადაგმცოდნეობის საკითხები, აგრეთვე პროგრამიდან ამოღებულ იქნას სასწავლო კურსი ,,აგრონომიის ინტეგრირებული კურსი“ რომელიც სამაგისტრო საფეხურისათვის არ არის მისაღები და მის ნაცვლად შეტანილ იქნას ნიადაგთმცოდნეობის მაგისტრატურის საფეხურის სასწავლო კურსი.

საბჭოს თავმჯომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,აგროტექნოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,აგროტექნოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელიწადში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მესამე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართულ ენაში მომზადება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	02. 03. 2020 N14
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	-
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დასახელება	-
9	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
12	განხორციელების ადგილი	მ.კოსტავას ქ. № 77, ქ. თბილისი, საქართველო 0175,
13	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა - ზურაბ გვიშიანმა

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების მიერ ასევე განხორციელდა რეჯომენდაციების შერსულება და შესაბამისად აუცილებელი ცვლილებების გატარება.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენლებს წარმოედგინა პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამამ მიიღო აკრედიტაცია, თუმცა საბჭოს გადაწყვეტილებით დაინიშნა მონიტორინგი, რათა პროგრამა შესაბამისობაში მოსულიყო ახალ სტანდარტთან და დარგობრივ მახასიათებელთან. მონიტორინგის ვიზიტის დროისთვის პროგრამა სრულიად იყო შეცვლილი და დაქვემდებარებული ახალ სტანდარტს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ე ბ ი :

1. სილაბუსების ნაწილში, მაგალითად, სასწავლო კურსებში: ქართული ენის ფონეტიკა, A და B ბლოკი, ქართული ენის ლექსიკა, A და B ბლოკი და სხვ. მითითებულია თეორიები გრამატიკის შესახებ და სხვა სახის დარგობრივი სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც უცხო ენის სწავლების თანამედროვე მეთოდიკიდან გამომდინარე, შესაძლოა, არ ემსახურებოდეს უცხო ენის პრაქტიკაში გამოყენების მიზნებს. მიზანშეწონილია, მეორე ენის სწავლების 5 მეთოდოლოგიის მიხედვით, სასწავლო კურსებში ასახული იყოს გრამატიკული საკითხები არა განყენებულად, არამედ, აქტუალური სასწავლო თემების კონტექსტში და მათთან ინტეგრირებულად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინსტიტუცია რეკომენდაციას ნაწილობრივ ეთანხმება. კერძოდ დაწესებულება არ იზიარებს სამცნიერო დარგობრივი ლიტერატურის შეუსაბამობის ნაწილს. აღსანიშნავია ,,ფონეტიკის“ სასწავლო კურსი, რომლის ძირითად ლიტერატურაში დეტალურად არის მოცემული საკითხი თავისი პრაქტიკული ნაწილით. თუმცა აუცილებლად მოხდება სასწავლო კურსების სილაბუსებისა და მოცემული ლიტერატურის დახვეწა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:33
დასრულების დრო: 18:35

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
აკრედიტაციის საბჭომ სრულიად გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცია:

1. სილაბუსების ნაწილში, მაგალითად, სასწავლო კურსებში: ქართული ენის ფონეტიკა, A და B ბლოკი, ქართული ენის ლექსიკა, A და B ბლოკი და სხვ. მითითებულია თეორიები გრამატიკის შესახებ და სხვა სახის დარგობრივი სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც უცხო ენის სწავლების თანამედროვე მეთოდიკიდან გამომდინარე, შესაძლოა, არ ემსახურებოდეს უცხო ენის პრაქტიკაში გამოყენების მიზნებს. მიზანშეწონილია, მეორე ენის სწავლების 5 მეთოდოლოგიის მიხედვით, სასწავლო კურსებში ასახული იყოს გრამატიკული საკითხები არა განყენებულად, არამედ, აქტუალური სასწავლო თემების კონტექსტში და მათთან ინტეგრირებულად.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ შეწყვიტა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მეოთხე საკითხი: სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	20.03.2020; N46
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	ჭავჭავაძის ქ.N53, ქ. გორი, საქართველო, 1400
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა საბჭოს გააცნო დაწესებულების მიერ შესასრულებელი რეკომენდაციები:

1.საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები გადაიხედოს და დაზუსტდეს ისე, რომ იყოს გაზომვადი;
2. ,,ფინანსური აღრიცხვის'' სასწავლო კურსის წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი ,,ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები'' ან მისი ინტეგრირება მოხდეს უკვე შეთავაზებულ სასწავლო კურსში ,,ფინანსური აღრიცხვა'';
3. ხარისხის განვითარების სამსახურმა შეიმუშაოს რეკომენდაციები პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების და მიღწევის მაჩვენებლების თაობაზე;
4. საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სამართლის სფეროს სასწავლო კურსის სათაური და შინაარსი მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში. აქცენტი გაკეთდეს კონკრეტულ იმ სფეროზე, რომელიც კავშირშია ამავე პროგრამის კვალიფიკაციასთან და დასაქმების სფეროსთან;
5. რეკომენდებულია მეტი აქტივობები უცხო ენის კომპეტენციის სწავლებასთან დაკავშირებით;
6. გაძლიერდეს პრაქტიკული სწავლება, განსაკუთრებით სიტუაციური ანალიზის დამატების ხარჯზე;
7. მოხდეს საგნის ,,კომპიუტერული ბუღალტერიის'' სახელის შესწორება მაგ: ,,ორისის პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი კ უ რ ს ი ' ' ;

ექსპერტთა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 20 მარტის N46 გადაწყვეტილებით დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი -2020 წლის 5 ოქტომბერი. დაწესებულებამ დადგენილ ვადაში წარმოადგინა ანგარიში, რომლის თანახმად, გაცემული რეკომენდაციების და რჩევების გათვალისწინება/განხორციელებითვის შეიქმნა სამუშაო ჯგუფი.
ჯგუფმა განიხილა შესასრულებელი რეკომენდაციები და დაადგინა პროგრამაში საჭირო ცვლილებების განხორციელების ეტაპები. რეალურად, გათვალისწინებული იქნა ყველა რეკომენდაცია და რჩევები. კერძოდ, რეკომენდაციის შესრულების მიზნით, მოხდა ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისა და მათი მიღწევის შეფასების გეგმის მოდიფიცირება. პროგრამის სწავლის შედეგები გაწერილია

ახალი საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით. პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც პროგრამის სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.
სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. სამუშაო ჯგუფმა გაიაზიარა მეორე რეკომენდაცია და ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლების საკითხების ინტეგრირება მოხდა სასწავლო კურსში ,,ფინანსური აღრიცხვა''. კერძოდ „ფინანსური აღრიცხვის" სილაბუსს, რომელიც მოიცავს 6 ECTS კრედიტს (72 საკონტაქტო საათი), დაემატა ბუღალტრული აღრიცხვის შესავალი, ბუღალტრული აღრიცხვის საგანი და ბუღალტრული ანგარიშების კლასიფიკაცია, ანგარიშთა გეგმა და მისი აგების პრინციპები.
აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 ივნისის N6-18 დადგენილებით შევიდა ცვლილებები პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს როგორც პირდაპირ ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს. პირდაპირი მეთოდის სახით გამოყენებულია შეწონილი შეფასება. პროგრამის სამიზნე ნიშნულები თითეული სწავლის შედეგისათვის განსაზღვრულია 70 %-ით. შეფასების პროცესი ითვალისწინებს უკუკავშირს სასწავლო კურსებისა და პროგრამის განვითარებისათვის.
რეკომენდაციის შესაბამისად, შეიცვალა პროგრამით განსაზღვრული სამართლის სფეროს სასწავლო კურსის - "სამეწარმეო სამართლის საფუძვლები" სახელწოდება და შინაარსი მოვიდა ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსთან შესაბამისობაში და ეწოდა „ბიზნესის სამართალი". ინგლისური ენის 20 კრედიტიანი სავალდებულო კომპონენტი მიზნად ისახავს ინგლისური ენის B1.1(pre-intermediate) დონიდან (ენების საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR) შესაბამისად) B2/1(Intermediate) დონის მიღწევას. სტუდენტი, რომელიც ვერ ფლობს ინგლისურ ენას B1.1(pre-intermediate) დონეზე, მისი ინგლისური ენის ფლობის დონის გათვალისწინებით სასწავლო უნივერსიტეტის უცხო ენების ცენტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ინგლისური ენის კომპონენტის შესწავლას იწყებს A1(Elementary) ან A2(Elementary) დონიდან. აღნიშნული სასწავლო კურსების/კურსის გავლა სტუდენტს შეუძლია თავისუფალი/არჩევითი კომპონენტის ფარგლებში. ასევე, პროგრამის სავალდებულო კომპონენტია მეორე უცხო ენის პრაქტიკული კურსი (გერმანული/ რუსული/ პოლონური), რომელიც არჩევითია.
რეკომენდაციის გათვალისწინებით მოხდა საკონტაქტო საათების გაზრდა სასწავლო კურსში „დარგობრივი ინგლისური", სადაც კვირეული დატვირთვა გახდა 4 საათი - 3 სთ -ის ნაცვლად. სწავლა-სწავლების მეთოდებს დაემატა სიტუაციური ანალიზის მეთოდი შემდეგ სასწავლო კურსებში „ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა", „სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები", „ოპერაციული მენეჯმენტის საფუძვლები", „პროექტის მენეჯმენტი", „ფინანსური აღრიცხვა" და სხვ. ასევე გაიზარდა პრაქტიკული მეცადინეობისა და ჯგუფური მუშაობის საათები კურსებში „ოპერაციული მენეჯმენტის საფუძვლები", „დარგობრივი ინგლისური". „კომპიუტერული ბუღალტერიის" ნაცვლად სასწავლო კურსს ეწოდა "ორისის (ORIS) ბუღალტრული კომპიუტერული პროგრამის პრაქტიკული კურსი".

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს შეფასებისათვის. მისი თქმით დაწესებულების წარმომადგენლებს არაფრის დამატება არ სურდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:45
დასრულების დრო: 18:47

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
საბჭომ სრულიად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასებები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა